

ფინანსური აღრიცხვის ახალი სადაზღვევო სტანდარტის (ფასს 17)  
გავლენის შეფასება ქართულ სადაზღვევო კომპანიების მაგალითზე 2022  
წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით

ლიზი ვარშანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ქოიავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიზი, ვარშანიძე, 06.16.2024“

## აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ახალი სტანდარტის, ფასს 17-ის, გავლენის შეფასებას კომპანიებზე, რომელზეც ის ვრცელდება. ფასს-17 არის სადაზღვევო კომპანიებისთვის განკუთვნილი ფინანსური აღრიცხვის ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან. ნაშრომი მიზნად ისახავს 2 ქართული კომპანიის მაგალითზე გამოავლინოს, რამდენად შესრულდა ახალი სტანდარტით შემუშავებული ცვლილებები, რა ცვლილებები გამოიწვია კომპანიის საოპერაციო ეფექტურობაზე, ლიკვიდობაზე, გადახდისუნარიანობაზე და კომპანიის ხარჯების სტრუქტურაზე. ხომ არ გამოვლინდა არსებითი ინფორმაცია, რასაც ძველი სტანდარტით ვერ ვხედავდით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. საკვლევი კითხვების საპასუხოდ ჩატარებულია ორი ქართული სადაზღვევო კომპანიის - ალდაგი და ბზ დაზღვევა, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების პრე და პოსტ ანალიზი, რომლებიც მომზადებულია, როგორც ძველი სტანდარტით, ფასს 4-ით, ასევე ახალით - ფასს 17-ით. ორივე კომპანია იყენებს ფასს 17-ით დაშვებულ, გამარტივებულ მიდგომას, რომელიც არ უზრუნველყოფს რისკების კორექტირებას. ამ შემთხვევაში სადაზღვევო კონტრაქტების აღიარება ხდება 1 წელზე ნაკლები ვადით, რის გამოც არ ხდება აქტიური დისკონტირება. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ აღნიშნული მიდგომის საშუალებით საანალიზო კომპანიებისთვის ახალი სტანდარტით მოთხოვნილი ცვლილებები არ არის არსებითი, თუმცა ახალი სტანდარტის სხვა მოთხოვნები უზრუნველყოფს წარგენილი ფინანსური ანგარიშგების გამჭირვალობის ზრდას. ნაშრომში გამოყენებულია რამდენიმე ძირითადი კოეფიციენტი, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია მიდგომები. იმისთვის რომ კომპანიების ინფორმაცია ყოფილიყო შესადარისი, გამოყენებულია ურთიერთშესწორებითი კორექტირების ტექნიკა. რათა შემდგომ კოეფიციენტებით გამოვლენილიყო ძირითადი ცვლილებები. კვლევის ფარგლებში გამოვლენილია რამდენიმე ძირითადი მიგნება. მათ შორის არის მომსახურების გაწევასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამიჯვნა

საოპერაციო ხარჯებისგან და მომსახურების ხარჯებში ასახვა, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე მუხლი არ გავრცელდა ერთ-ერთ კომპანიაზე. ასევე, ახალი სტანდარტი კომპანიებს ავალდებულებს წაგებიანი ხელშეკრულების ხარჯების კომპონენტის აღიარება მოხდეს შესაძლო ზარალის გამოვლენისთანავე. კვლევამ აჩვენა, რომ ეს კომპონენტი გაანალიზებული კომპანიებისთვის არ არის არსებითი და შესაბამისად, ძველი სტანდარტით გათვალისწინებული ანგარიშგება არ განსხვავდება ახლისგან. ახალი სტანდარტით გათვალისწინებული ხარჯების სტრუქტურის კორექტირება არ იწვევს გადახდისნაურიანობისა და ლიკვიდობის კოეფიციენტების ცვლილებას, რადგან არ ეცვლება ხარჯების შეფასების და აღიარების კრიტერიუმები და შესაბამისად ფინანსური სურათი უცვლელი რჩება. კვლევის ლიმიტიდან გამომდინარე, რომელიც მხოლოდ PAA მოდელით შემუშავებულ ფინანსურ ანგარიშგებას მოიცავს, გამარტივებული მეთოდით კომპანიას არ გააჩნია არსებითი ცვლილებები. ვინაიდან, ფასს 17-ის დანერგვის პირველი წელია, მოსალოდნელია რომ მომდევნო წლებში, გაზრდილი მონაცემების ნაკადის გათვალისწინებით, გაჩნდეს გარკვეული კორექტირებების, ან გარკვეული საკითხების დახვეწის საჭიროება. აქედან გამომდინარე, შემდგომ რეკომენდირებულია მოხდეს ცვლილებების გათვალისწინება და დამატებითი ანალიზი, რომელიც ასევე უნდა ჩატარდეს ზოგადი მოდელის შემთხვევაშიც, რადგან სავარაუდოა, რომ სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მეტი გავლენის ქვეშ არიან კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ 1 წელზე მეტი დროით არსებული სადაზღვევო კონტრაქტები.

## **Abstract**

The paper presents an assessment of the impact of the new standard, IFRS 17, on the companies to which it applies. IFRS-17 is a new financial accounting standard for insurance companies that came into force on January 1, 2023. The paper aims to show, on the example of 2 Georgian companies, how far the changes developed by the new standard have been implemented, what changes have resulted in the company's operational efficiency, liquidity, solvency and the company's cost structure. Was essential information revealed, which we could not see with the old standard, about the company's financial situation. In response to the research questions, a pre and post analysis of the 2022 financial statements of two Georgian insurance companies - Aldagi and BB Insurance, prepared both according to the old standard, IFRS 4, and the new one - IFRS 17, was conducted. Both companies use the simplified approach allowed by IFRS 17, which does not provide risk adjustment. In this case, insurance contracts are recognized for a period of less than 1 year, which is why active discounting is not performed. Within the framework of the research, it was revealed that the changes required by the new standard for analytical companies through the mentioned approach are not essential, although other requirements of the new standard ensure an increase in the complexity of the submitted financial statements. Several basic coefficients are used in the work, based on which the approaches are developed. In order for the information of the companies to be comparable, the mutual adjustment technique was used. in order to identify the main changes with further coefficients. Within the framework of the research, several main findings have been identified. Among them is the separation of costs directly related to the provision of services from operational costs and their reflection in service costs, within the scope of which several articles did not apply to one of the companies. Also, the new standard requires companies to recognize the expense component of a loss-making contract as soon as possible losses are identified. The research showed that this component is not essential for the analyzed companies, and therefore, the reporting under the old standard does not differ

from the new one. The adjustment of the cost structure taken into account by the new standard does not lead to a change in the solvency and liquidity ratios, because the criteria for the evaluation and recognition of costs do not change, and therefore the financial picture remains unchanged. Based on the research limit, which includes only the financial statements prepared by the PAA model, the company does not have any significant changes with the simplified method. Since this is the first year of implementation of IFRS 17, it is expected that in the following years, taking into account the increased flow of data, there will be a need for some adjustments or refinement of some issues. Therefore, it is further recommended to take into account the changes and additional analysis, which should also be carried out in the case of the general model, because it is likely that companies with insurance contracts for more than 1 year are more influenced by the requirements of the standard.